გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

2011 წლის 14 თებერვალი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დადგინდეს გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (დანართი №1).
2. დამტკიცდეს ქ. გორის ტერიტორიის ზონირება (დანართი №2).
3. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 27 თებერვლის №100 დადგენილება.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე თ. ხაჩიური

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. ქ. გორში სახელმწიფო და გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში _ მიწის ნორმატიული ფასი) დიფერენცირებულია ქ. გორის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების (ქვეზონების) მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის ქ. გორის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,65-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

გ.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონისათვის – 1,5-ს;

გ.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონისათვის – 1,3-ს;

გ.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონისათვის – 1,1-ს;

გ.დ) შუალედური ზონისათვის – 1-ს;

გ.ე) პერიფერიული ზონის I ქვეზონისათვის – 0,8-ს;

გ.ვ) პერიფერიული ზონის II ქვეზონისათვის – 0,7-ს;

გ.ზ) პერიფერიული ზონის III ქვეზონისათვის – 0,6-ს;

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე) **K** – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ყველა ზონაში (ქვეზონაში) უდრის 50-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. გორში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ზონა (ქვეზონა)	I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
ცენტრალური ზონა					
I ქვეზონა	0,65	1,5	0,24	50	11,7
II ქვეზონა	0,65	1,3	0,24	50	10,14
III ქვეზონა	0,65	1,1	0,24	50	8,58
შუალედური ზონა					
-	0,65	1	0,24	50	7,8
პერიფერიული ზონა					
I ქვეზონა	0,65	0,8	0,24	50	6,24
II ქვეზონა	0,65	0,7	0,24	50	5,46
III ქვეზონა	0,65	0,6	0,24	50	4,68

3. გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ. გორის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი განისაზღვროს 3,9 ლარით.

4. დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ. გორის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი განისაზღვროს1,95 ლარით.

5. გორის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ. გორის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 65%-ის ოდენობით და იგი განისაზღვროს 5,07 ლარით.

ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

დანართი №2

ქვეზონები	ქ. გორის ზონების (ქვეზონების) აღწერა	ლოკალური ტერიტორიული ინდექსი I_{TL}
ცენტრალური ზონა		
1	ბაგრატიონის ქუჩა–ანტონოვის ქუჩიდან კოსტავას ქუჩამდე; კოსტავას ქუჩა – ბაგრატიონის ქუჩიდან სტალინის ქუჩამდე; სტალინის გამზირი– კოსტავას ქუჩიდან ქუთაისის ქუჩამდე; ქუთაისის ქუჩა–სტალინის ქუჩიდან გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩამდე; სტალინის გამზირი–გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩიდან კირიონ II -ის ქუჩამდე; კირიონ II-ის ქუჩა – სტალინის ქუჩიდან ლომოურის ქუჩამდე; ლომოურის ქუჩა–კირიონ II-ის ქუჩიდან ამილახვრის ხიდამდე; მდ. მეჯუდა–ამილახვრის ხიდიდან მდ. მეჯუდის და მდ. ლიახვის სანაპირო კომბინატის ხიდამდე; კომბინატის ხიდი–ახალბაღის ჩრდილოეთ კედლის გავლით ჭავჭავაძის და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთამდე; გურამიშვილის ქუჩა–ჭავჭავაძის ქუჩიდან ამილახვრის ქუჩამდე; ამილახვრის ქუჩა–გურამიშვილის ქუჩიდან ანტონოვის ქუჩამდე; ანტონოვის ქუჩა–ამილახვრის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე.	1,5
2	ა) გურამიშვილის ქუჩა – ამილახვრის ქუჩიდან თამარ მეფის ქუჩამდე; თამარ მეფის ქუჩა–გურამიშვილის ქუჩიდან დ.აღმაშენებლის ქუჩამდე; დ. აღმაშენებლის ქუჩა–თამარ მეფის ქუჩიდან ანტონოვის ქუჩამდე; ანტონოვის ქუჩა–აღმაშენებლის ქუჩიდან ამილახვრის ქუჩამდე; ამილახვრის ქუჩა–ანტონოვის ქუჩიდან გურამიშვილის ქუჩამდე; ბ) ბაგრატიონის ქუჩა– კოსტავას ქუჩიდან ჭანტურიას ქუჩამდე; ჭანტურიას და კახნიაშვილის ქუჩები–ბაგრატიონის ქუჩიდან გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩამდე; გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩა– კახნიაშვილის ქუჩიდან კირიონ II-ის ქუჩამდე; კირიონ II-ის ქუჩა– სტალინის ქუჩიდან ლომოურის ქუჩამდე; ლომოურის ქუჩა– კირიონ II-ის ქუჩიდან ამილახვრის ხიდამდე; მდ. მეჯუდის სანაპირო–ამილახვრის ხიდიდან ქუთაისის ქუჩამდე; ქუთაისის ქუჩა–მდ. მეჯუდის სანაპიროდან სტალინის ქუჩამდე; სტალინის ქუჩა–ქუთაისის ქუჩიდან კოსტავას ქუჩამდე; კოსტავას ქუჩა–სტალინის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე.	1,3
3	ა) აღმაშენებლის ქუჩა –ანტონოვის ქუჩიდან ჭანტურიას ქუჩამდე; ჭანტურიას ქუჩა – აღმაშენებლის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე; ბაგრატიონის ქუჩა – ჭანტურიას ქუჩიდან ანტონოვის ქუჩამდე; ანტონოვის ქუჩა–ბაგრატიონის	1,1

	ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩამდე. ბ) კახნიაშვილის ქუჩა–გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩიდან მდ. მეჯუდამდე; მდ. მეჯუდის სანაპირო –კახნიაშვილის ქუჩიდან ქუთაისის ქუჩამდე; ქუთაისის ქუჩა–მდ. მეჯუდის სანაპიროდან გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩამდე; გმირების (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩა–ქუთაისის ქუჩიდან კახნიაშვილის ქუჩამდე; გ) გურამიშვილის ქუჩა– ჭავჭავაძის ქუჩიდან თამარ მეფის ქუჩამდე; თამარ მეფის ქუჩა– გურამიშვილის ქუჩიდან წითელარმიელების ქუჩამდე; წითელარმიელების ქუჩა– თამარ მეფის ქუჩიდან მდ. მტკვრის ჩრდილოეთ სანაპირომდე; მდ. მტკვრის ჩრდილოეთ სანაპირო– წითელ არმიელების ქუჩიდან მდ. მტკვრის და მდ. ლიახვის შესართავამდე; მდ. ლიახვის აღმოსავლეთ სანაპირო–მდ. მტკვრისა და მდ. ლიახვის შესართავიდან მდ. ლიახვის ხიდამდე; შემდეგ საზღვარი მიუყვება კულტურისა და დასვენების პარკის ჩრდილოეთ საზღვარს გურამიშვილის ქუჩამდე;	
შუალედური ზონა		
-	სამგორის ქუჩა-ჩუბინიშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე; ჭავჭავაძის ქუჩა-სამგორის ქუჩიდან გორკის ქუჩამდე; გორკის ქუჩა-ჭავჭავაძის ქუჩიდან შაუმიანის ქუჩამდე; შაუმიანის ქუჩა -გორკის ქუჩიდან სამხედრო ნაწილის დასავლეთ ღობის კედლამდე; სამხედრო ნაწილის დასავლეთ ღობის კედელი-შაუმიანის ქუჩიდან №1 ავტროსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედლამდე; ავტროსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედელი-სამხედრო ნაწილის დასავლეთ კედლიდან სუხიშვილის ქუჩამდე; სუხიშვილის ქუჩა–N1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედლიდან სუხიშვილის და მეჯვრისხევის ქუჩების გადაკვეთამდე; მეჯვრისხევის ქუჩა-სუხიშვილის ქუჩიდან ნინოშვილის ქუჩამდე; ნინოშვილის ქუჩა-მეჯვრისხევის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე; პუშკინის ქუჩა-ნინოშვილის ქუჩიდან მდ. მეჯუდამდე; მდ. მეჯუდის და კოშკას სანაპირო-პუშკინის ხიდიდან მეტეოსადგურის შენობამდე, რომელიც შემდეგ მიემართება და გადადის ცხინვალის გზატკეცილზე; ცხინვალის გზატკეცილი-სოფტექნიკის შესასვლელიდან ალექსანდრე ჯავახიშვილის ქუჩამდე; ალ. ჯავახიშვილის ქუჩა-ცხინვალის გზატკეცილიდან მდ. ლიახვის გადაკვეთით გრიბოედოვის ქუჩის გავლით მოსკოვის ქუჩამდე; მოსკოვის ქუჩა-გრიბოედოვის ქუჩიდან ჭონქაძის ქუჩამდე; ჭონქაძის ქუჩა-მოსკოვის ქუჩიდან მდ. მტკვრის გადაკვეთით გორიჯვრის ქუჩის გავლით კეცხოველის ქუჩამდე; კეცხოველის ქუჩა-გორიჯვრის ქუჩიდან გაბაშვილის ქუჩამდე; გაბაშვილის ქუჩა-კეცხოველის ქუჩიდან მდ. მტკვრის და ჭალის გავლით სამგორის ქუჩამდე.	1
პერიფერიული ზონა		
1	ა) სუხიშვილის ქუჩა–მეჯვრისხევის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე; მელიქიშვილის ქუჩა–სუხიშვილის ქუჩიდან მდ.მეჯუდამდე; მდ. მეჯუდის სანაპირო–მელიქიშვილის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე; პუშკინის ქუჩა–მდ.მეჯუდის ხიდიდან ნინოშვილის ქუჩამდე; ნინოშვილის ქუჩა– პუშკინის ქუჩიდან მეჯვრისხევის ქუჩამდე; მეჯვრისხევის ქუჩა– ნინოშვილის ქუჩიდან სუხიშვილის ქუჩამდე; ბ) ცხინვალის გზატკეცილი –ტყვიავის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე; ჯავახიშვილის ქუჩა– ცხინვალის გზატკეცილიდან მდ. ლიახვის გადაკვეთით გრიბოედოვის ქუჩის გავლით მოსკოვის ქუჩამდე; მოსკოვის ქუჩა–გრიბოედოვის ქუჩიდან თარხნიშვილის ქუჩამდე; თარხნიშვილის ქუჩა –მოსკოვის ქუჩიდან კვეთს მდ. ლიახვს ტყვიავის ქუჩამდე; ტყვიავის ქუჩა–მდ. ლიახვის ნაპირიდან ცხინვალის გზატკეცილამდე. გ) გაბაშვილის ქუჩა– კეცხოველის ქუჩიდან მარაბდელის ქუჩამდე; მარაბდელის ქუჩა– გაბაშვილის ქუჩიდან სამადაშვილის ქუჩამდე; სამადაშვილის ქუჩა– მარაბდელის ქუჩიდან ნავთსადენის ქუჩამდე; ნავთსადენის ქუჩა– სამადაშვილის ქუჩიდან კეცხოველის ჩიხამდე; კეცხოველის ქუჩა– კეცხოველის ჩიხიდან გაბაშვილის ქუჩამდე; დ) სამგორის ქუჩა–ჩუბინიშვილის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე; ჭავჭავაძის ქუჩა–სამგორის ქუჩიდან გორკის ქუჩამდე; გორკის ქუჩა–ჭავჭავაძის ქუჩიდან შაუმიანის ქუჩამდე; შაუმიანის ქუჩა–გორკის ქუჩიდან პეტრიაშვილის ქუჩამდე; პეტრიაშვილის ქუჩა–შაუმიანის ქუჩიდან თამარ მეფის ქუჩამდე; თამარ მეფის ქუჩა–პეეტრიაშვილის ქუჩიდან სამგორის ქუჩამდე; ამ ზონაში შევიდეს თამარ მეფის ქუჩის IV კვარტალის ტერიტორია.	0,8

2	ა) ცხინვალის გზატკეცილი–სოფტექნიკის შესასვლელიდან ლტოლვილთა ჩასახლების სამხრეთ საზღვრამდე; ლტოლვილთა ჩასახლების სამხრეთ საზღვარი–ცხინვალის გზატკეცილიდან მდ. მეჯუდამდე; მდ. მეჯუდა–ლტოლვილთა ჩასახლების სამხრეთ საზღვიდან თოიძის ქუჩამდე; შემდეგ საზღვარი მოემართება თოიძის ქუჩის გავლით ავტოტექმომსახურების ჩრდილოეთ კედლამდე; ავტოტექმომსახურების ჩრდილოეთ კედელი–სუხიშვილის ქუჩიდან ყოფილი სამხედრო ნაწილში შესასვლელ გრუნტიან გზამდე; შემდეგ საზღვარი მიემართება ყოფილი სამხედრო ნაწილში შესასვლელი გრუნტიანი გზის გავლით №1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედლამდე; N1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედელი–სუხიშვილის ქუჩამდე; სუხიშვილის ქუჩა–№1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამხრეთ კედლიდან მელიქიშვილის ქუჩამდე; მელიქიშვილის ქუჩა–სუხიშვილის ქუჩიდან მდ. მეჯუდამდე; მდ. მეჯუდა–მელიქიშვილის ქუჩიდან პუშკინის ქუჩის გადაკვეთამდე; საზღვარი მიემართება მდ. მეჯუდისა და მდ. კოშკას კალაპოტის გასწვრივ ყოფილი მეტეოსადგურის შენობამდე; მელიქიშვილის საპროექტო ქუჩა–ყოფილი მეტეოსადგურიდან სუხიშვილის ქუჩამდე; ბ) ცხინვალის გზატკეცილი–სოფტექნიკის შესასვლელიდან ტყვიავის ქუჩამდე; ტყვიავის ქუჩა–ცხინვალის გზატკეცილიდან მდ. ლიახვის გადაკვეთით თარხნიშვილის ქუჩის გავლით მოსკოვის ქუჩამდე; მოსკოვის ქუჩა–თარხნიშვილის ქუჩიდან ჭონქაძის ქუჩამდე; ჭონქაძის ქუჩა–მოსკოვის ქუჩიდან მდ. მტკვრამდე; მდ. მტკვრის ჩრდილოეთ სანაპირო–ჭონქაძის ქუჩიდან გორი–ცხინვალის რკინიგზამდე; გორი–ცხინვალის რკინიგზის ხაზი მდ. მტკვრიდან გორგასლის ქუჩის გადაკვეთამდე; გორგასლის ქუჩა– გორი–ცხინვალის რკინიგზიდან სვერდლოვის ქუჩამდე; სვერდლოვის ქუჩა-გორგასლის ქუჩიდან შინდისის გზატკეცილამდე; შინდისის გზატკეცილი-სვერდლოვის ქუჩის გადაკვეთიდან უსინათლოთა საზოგადოების საწარმომდე, შემდეგ საზღვარი გადაკვეთს მდინარე ლიახვის კალაპოტს და მიემართება გვერდწითელის ქუჩამდე; გვერდწითელის ქუჩა-მდინარე ლიახვის კალაპოტიდან სოფლტექნიკის სამხრეთის კედლის გავლით ცხინვალის გზატკეცილამდე; გ) შაუმიანის ქუჩა– პეტრიაშვილის ქუჩიდან რაზმაძის ქუჩამდე; რაზმაძის ქუჩა– შაუმიანის ქუჩიდან თარ მეფის ქუჩამდე; თამარ მეფის ქუჩა–რაზმაძის ქუჩიდან პურკომბინატის აღმოსავლეთ კედლამდე; შემდეგ საზღვარი მიემართება პურკომბინატის აღმოსავლეთი კედლის გავლით მდ. მტკვრის გადაკვეთით კავსაძის ქუჩის გავლით კეცხოველის ქუჩამდე; კეცხოველის ქუჩა–კავსაძის ქუჩიდან ფურცელაძის ქუჩამდე; ფურცელაძის ქუჩა–კეცხოველის ქუჩიდან გაბაშვილის ქუჩამდე; გაბაშვილის ქუჩა– მიჩურინის ქუჩის გავლით მარაბდელის ქუჩამდე: მარაბდელის ქუჩა–მიჩურინის ქუჩიდან გაბაშვილის ქუჩამდე; გაბაშვილის ქუჩა– რკინიგზისა და მდ. მტკვრის გადაკვეთით ჩუბინიშვილის ქუჩამდე; ჩუბუნიშვილის ქუჩა–სამგორის ქუჩის გადაკვეთიდან თამარ მეფის მეოთხე კვარტლის აღმოსავლეთ საზღვრამდე; შემდეგ საზღვარი მიყვება თამარ მეფის მეოთხე კვარტალის აღმოსავლეთ საზღვარს თამარ მეფის ქუჩამდე; თამარ მეფის ქუჩა–პეტრიაშვილის ქუჩამდე; პეტრიაშვილის ქუჩა–თამარ მეფის ქუჩიდან შაუმიანის ქუჩამდე.	0,7
3	ამ ცხრილში აღნიშნული საზღვრების გარდა დარჩენილი ქალაქის ტერიტორია.	0,6